დევნილთა და ეკომიგრანტთა სახელმწიფო სერვისები

სოფიკო ჟორჟოლაძე
თინათინ ქოიავა

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მერაბ ლაბაძე, მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

სოფიკო ჟორჟოლაძე

თინათინ ქოიავა

29.01.2021

აბსტრაქტი

დღევანდელ რეალობაში, სახელმწიფოში არსებულ სხვადასხვა გამოწვევებთან ერთად, ერთ–ერთ მნიშვნელოვან პრობლემად დევნილთა და ეკომიგრანტთა მიმართ სახელმწიფოს სერვისების შეთავაზება და მათი განხორციელება წარმოადგენს. ერთი შეხედვით მარტივ, მაგრამ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ისიც, რომ ცნობადობა ამ კონკრეტული მოწყვლადი ჯგუფების მიმართ საკმაოდ დაბალია. საზოგადოებაში არსებობს პრობლემა მათი სტატუსის დეფინიციის სწორად გაგებასთან დაკავშირებით. კერძოდ, ცოტამ თუ იცის დევნილის და ლტოლვილის განსხვავება, ხოლო ეკომიგრანტის ცნება საერთოდ უცხოა ბევრი ადამიანისთვის.

მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში არსებობობენ აღნიშნული მოწყვლადი ჯგუფები, რომლებიც ცალსახად წარმოადგენენ იმ პირთა წრეებს, რომელთაც ესაჭიროებათ სახელმწიფოს მხრიდან დახმარების აღმოჩენა. ყველაზე მნიშვნელოვანია ის ფაქტორი, თუ როგორ ეხმარება მათ სახელმწიფო, რამდენად ეფექტურია ეს დახმარება და არის თუ არა საკმარისი და სამართლიანი ის სუბსიდირებები რასაც ისინი მთავრობისგან იღებენ.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენს იმ პრობლემური საკითხების ზუსტი იდენტიფიცირება, რომლებიც დევნილებს და ეკომიგრანტებს უკავშირდება. ნაშრომში შევეცდებით სტატისტიკაზე და გამოკითხვებზე დაყრდნობით, შეძლებისდაგვარად მკაფიოდ დაგანახოთ საკითხის მნიშვნელოვნება, უკვე არსებული საკმაოდ ბევრი პრობლემის ანალიზი და მათი გადაჭრის გზები, ჩვენი შეხედულებების და ჩატარებული კვლევების მიხედვით. ასევე გვსურს გავაანალიზოთ სახელმწიფო სერვისების ეფექტურობა და ვალიდურობა რეალურ დროსთან მიმართებაში, რამდენად აკმაყოფილებენ ისინი საერთაშორისო სტანდარტებს, ამისათვის ნაშრომში განხილულ იქნება საერთაშორისო პრაქტიკაც და გაკეთებული იქნება შესაბამისი პარალელები სხვადასხვა ქვეყნებთან.

საკვანძო სიტყვები: სააგენტო, დევნილი, ეკომიგრანტი, იძულებით გადაადგილებული;

Abstract

In present reality, along with various challenges in the state, one of the most important problems is the provision of state services to IDPs and eco-migrants and their implementation. In one point simple but important factor is also that the awareness of these particular vulnerable groups is quite low. There is a problem in the society with the correct understanding of the definition of their status. In particular, few if any know the difference between an IDP and a refugee, and the notion of an eco-migrant is generally unknown to many people.

In many countries, there are vulnerable groups, which are uniquely that people who need help from the state. The most important factor is how the state helps them, how effective this aid is and whether the subsidies they receive from the government are sufficient and fair.

Based on the above, the aim of our research is to accurately identify the problematic issues related to IDPs and eco-migrants. In this paper, based on statistics and surveys, we will try to show as clearly as possible the importance of the issue, analyze the many problems that already exist and the ways to solve them, according to our views and research. We also want to analyze the efficiency and validity of public services in present time, are they extent to international standards, for this the paper will discuss international practice and make relevant parallels with different countries.

Key Words : Agency, IDP, Eco-migrant, Internally displaced.